საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8250/01
20/08/2019

8250-01-2-201908201148

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების
ცენტრის უფროსს ბატონ გოჩა კანკავას

ბატონო გოჩა,

თქვენი წერილის (#12/44858 29.07.2019) პასუხად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 43.14.44.753) პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, წარმოდგენილი მასალების და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის (21/2075, 07.08.2019) თანახმად აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ზედაპირული წყლის ობიექტი და რომელიც წარმოადგენს ხელოვნურ ტბორს. შესაბამისად ამ ნაკვეთზე ვრცელდება ტბორის წყლის სახელმწიფო ფონდის მიწის მოთხოვნები.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები და ჭაობები წარმოადგენენ საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, ხოლო ამ წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები, აგრეთვე მიწები, რომელებიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა.შ. წარმოადგენენ წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება "წყლის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთზე მდებარე წყლის რესურსს გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად: „წყლის რესურსები არ ექვემდებარება პრივატიზებას".

პატივისცემით,

იური ნოზაძე

მინისტრის მოადგილე - მ.შ.